ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 296 (19737) პარასკევი, 26 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საძმო გამოპრინა

ზეგეგმითი ფეროშენადნობები

მომავალი წლის ანგარიშში უშვებენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეორე საამქროს №19 ღუმლის მდნობელები ლითონს. კომპლექსურ-ახალგაზრდული ბრიგადის ანგარიშზე, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი კალისტრატე ღიბრაძე ხელმძღვანელობს, ასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი, 932 ათასი კილოვატსაათი დაზოგილი ელექტროენერგია.



სურათზე: № 19 ღუმლის მდნობელთა ბრიგადირი კალისტრატე ღიბრაძე; მოდის ზეგეგმითი ფეროშენადნობი.

ა. მაჰაპარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეურნეობრიობის უმნიშვნელოვანესი საზრები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა 1986 წლის იანვარ-ნოემბერში პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის საკითხი. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელსაც სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ყველა შრომითი კოლექტივის მიერ მიწოდების გეგმის უფრო შესრულება, დაავალა სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებსა და საწარმოებს ძირფესვიანად აღმოფხვრან სახელშეკრულებო ვალდებულებათა რეალიზაციის წაშლის მიზეზები, მიაღწიონ ხელშეკრულებათა შესრულებას.

აღინიშნა სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისათვის მთელი რიგი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. პარტიის თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო კომიტეტების მდივნების, ამ ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ამ რეგიონების მთელი რიგი საწარმოები სერიოზულად ჩამორჩებიან სახელშეკრულებო მიწოდებათა გეგმების რეალიზაციაში და გააფრთხილა ისინი, რომ უშუალოდ აგებენ პასუხს მუშაობის ამ მხარეზე ჯეროვანი წესრიგისათვის.

მაინც რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში განვლილი თერმეტი თვის განმავლობაში?

მიწოდების ვალდებულების შესრულების აუცილებლობა ამ პერიოდში ვრცელდებოდა რესპუბლიკის 860 გაერთიანებასა და საწარმოზე, რაც მათი საერთო რაოდენობის 81,4 პროცენტს შეადგენს. როგორც ვხედავთ, ეს მეტად სოლიდური ციფრია.

რესპუბლიკის მრეწველობის იმ საწარმოებიდან, რომლებიც შემკვეთთან მიწოდების ხელშეკრულებით არიან დაკავშირებული, დავალებას თავი ვერ გაართვა 159, ანუ 18,5 პროცენტმა. უფრო ზუსტად მომხმარებელი დაიღალატა ყოველმა მეხუთე საწარმომ. შემკვეთმა ვერ მიიღო 143,1 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მიაქციეთ ყურადღება: იმ საწარმოების აბსოლუტურმა უმეტესობამ, რომლებზეც ვრცელდება პროდუქციის მიწოდების მაჩვენებელი, პროდუქციის რეალიზაციის საერთო გეგმა შეასრულა, მაგრამ ვერ დაიცვა სახელშეკრულებო დისციპლინა. ჩვენ ვიცით, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა ცდილობს გამოვიდეს მძიმე მდგომარეობიდან, ახორციელებს ღონისძიებებს საქმის წინასწარ სასვლისათვის, მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი ეს ეტყობა, საკმარისი არ არის. სამინისტროს 24 საწარმომ ვერ უზრუნველყო მომხმარებლისათვის დიდძალი პროდუქციის გაგზავნა. რაც შეეხება ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აქ 61 საწარმო დარჩა დავალიანებული. მკვეთრად უნდა გაიუმჯობესონ ამ მხრივ მდგომარეობა სასაგრომრეწვის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი, მშენებლობის სამინისტროების საწარმოებმა.

ახლა გადავხედოთ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს. მათ შემკვეთს ათმილიონნობით მანეთის პროდუქცია დააკლეს. კვლავ ჩამორჩენილთა შორის არის რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანება, აქ გეგმა მხოლოდ 74,9 პროცენტით შესრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დანიშნულებისამებრ ვერ გაიგზავნა 24 ათასი მანეთის ნაწარმი. ვერ იცავენ სახელშეკრულებო დისციპლინას რუსპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, „ელმავალმშენებელის“, „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანებები, რუსთავის მეტალურგიული და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, „საქთვალხმრეწვი“.

საქმის სასეთი ვითარება, არცთუ იშვიათად, დაკავშირებულია ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაწილების უქონლობასთან, სხვა ობიექტურ მიზეზებთან, მაგრამ ყველაფერს ამას ვერ დავაბრალებთ. უფრო ხშირად ჩამორჩენის მიზეზია შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, სუსტი ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსების არარაციონალური გამოყენება. ერთ-ერთი ყველაზე ხელშეშლელი მიზეზი კი ხარისხია.

როგორც უკვე კარგად არის ცნობილი, მომავალი წლის იანვრიდან რესპუბლიკის 22 დიდი საწარმო პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადადის, რასაც, როგორც ეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე აღინიშნა, პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ საკავშირო დაქვემდებარების იმ საწარმოთა დიდი ნაწილი, რომლებიც ანლეებურად იწყებენ შუშაობას, ვერ იცავს სახელშეკრულებო დისციპლინას.

პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლის საკითხებზე თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც გაიმართა. თათბირზე სიტყვით გამოსულმა საწარმოთა ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს ანლებურად შუშაობისათვის მზადყოფნაზე და ისინი ძირითადად ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი. ოპტიმისტური იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის გამოსვლაც, მის მიერ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტისათვის მიცემული ინტერვიუც, და ამას ჰქონდა საფუძველი. ჰქონდა იმიტომ, რომ ბოლო ხანს აქ დიდი სასიკეთო ძვრები მოხდა, განხორციელდა მრავალი ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიება, რომლებმაც არნახულად გააუმჯობესა საწარმოს საერთო მდგომარეობა, კერძოდ, პროდუქციის ხარისხი. ყველაფერი ეს ჯეშმარიტებაა, მაგრამ სწორია ისიც, რომ რუსთაველმა მეტალურგებმა მხოლოდ 97,1 პროცენტით შეასრულეს თერმეტი თვის მიწოდების ვალდებულება და შემკვეთს 6590 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს.

რეკონსტრუქციასთან, ტექნიკურ განახლებასთან, სხვა ურთულესი სამუშაოების შესრულებასთან, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებასთან, კადრების შენარჩუნებასთან დაკავშირებული მრავალი ღონისძიება განხორციელდა თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაშიც, მაგრამ სახელშეკრულებო დისციპლინას ვერც აქ იცავენ. თერმეტი თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი შესრულდა 98,6 პროცენტით, მომხმარებელი ელის 1345 ათასი მანეთის პროდუქციას. იგივე უნდა ითქვას სახმილებაზე გადასმელელ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაზეც.

ძალიან უჭირს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებასაც. პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა კარზეა მომდგარი, საქმე კი ფერხდება. იანვარ-ნოემბრის მიწოდების ვალდებულება აქ 98 პროცენტით შესრულდა, დაღალატდა შემკვეთი, სარეალიზაციო დარჩა 3005 ათასი მანეთის პროდუქცია.

არაერთხელ თქმულა, რომ მეთერმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რუსეთის სამეურნეო საწარმოებმა და გაერთიანებებმა საწარმოოთა ეფექტიანობის ზრდის, დანაზგართა სრულყოფის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და დისციპლინის შედარებით განმტკიცების გზით მნიშვნელოვნად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება, ბევრი რამ იღონეს მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამიტომ ჩვენს საწარმოებთან ქვეყნის ასობით ორგანიზაციას აქვს გაფორმებული პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია, თუ რა ღონისძიებებს, რა სახეობის ნაწარმი უნდა მივაწოდოთ მომხმარებელს. სახელშეკრულებო ვალდებულების განუხრელი შესრულება, სხვა უპირატესობათან ერთად, ხელს უწყობს საწარმოს კოლექტივის ავტორიტეტის განმტკიცებას. შუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევა ჯაჭვური რეაქციას იწვევს, რადგან თქვენი უშუალო შემკვეთი, თავის მხრივ, სახელშეკრულებო ვალდებულებით სხვა ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული და თქვენი პროდუქციის მოლოდინშია. ერთი საწარმოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება ათობით, თუ გნებავთ, ასობით ორგანიზაცია დააბრკოლოს.

სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებმა, პარტიულ ორგანიზაციებმა შუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა ჰქონდეთ მიწოდების ვალდებულებათა შესრულების საკითხი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, იმისათვის, რომ ვალი არ დავრჩეთ მომხმარებლის წინაშე და შეთორმეტე ხუთწლედში ამ მხრივ სრული წესრიგი დავამყაროთ. ამას მოითხოვს შუშაობის ანლებური პირობები: საწარმოოა საშეკრული ანგარიშზე გადაყვანა, შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების ახალი წესები, პროდუქციის სახმილება, სამეურნეო შეკანიზმის სრულყოფისათვის საჭირო სხვა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც უკვე იწყება. სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის შესრულებას ნიშნავს. ეს მთლიანად გამოსატავს შუშაობის საბოლოო შედეგს და მეურნეობრიობის მთავარი მაჩვენებელია.

არა გვგონია ამ წელიწადმა სასიამოვნო მოგონებები დაუტოვოს კასპელ მეცემენტეებს. თუმცა, წელიწადი აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, კოლექტივმა ვერა და ვერ მოაბა თავი საქმეს.

თვეების მანძილზე აქ ნელა გარდაქმნიდნენ მუშაობას, უკეთეს შემთხვევაში, ცდილობდნენ მორგებოდნენ გარდაქმნას და ყველაფერი ეს სამეურნეო შედეგშიც აისახა.

ნოემბერი. ამ თვეში ცემენტშიფერის კომბინატს უნდა გამოეშვა 67 ათასი ტონა ცემენტი და 5,2 მილიონი პირობითი ფილა შიფერი, სინამდვილეში კი სახელმწიფოს დააკლდა 12 ათასი ტონა ცემენტი და 2,2 მილიონი პირობითი ფილა შიფერი.

ათ თვეში გამოშვებულია 87 141 ტონით ნაკლები ცემენტი და 13 მილიონი პირობითი ფილით ნაკლები შიფერი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

გულსატკენია ისიც, რომ წლის დამდეგს ზარ-ზეიმით მიღებული ვალდებულებების შესრულება კი არა, რომელიც დავალების გადამეტებით 44 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა, გეგმაც კი განწირული იყო. წლეულს მეცემენტეები ქვეყანას დააკლებენ

იანვარში დანაპირებს დეკემბერი მოგვკითხავს

გაკვეთილი მომავლისათვის

100 ათას ტონა ცემენტს და 18 მილიონ პირობით ფილა შიფერს.

თქმა არ უნდა, სამწუხარო ფაქტია და ამას ვერსად გავექცევით, — ამბობს ცემენტ-შიფერის კომბინატის მთავარი ინჟინერი ვ. კოტლიარი, — ისევე როგორც ვერ მიჩქმალავ იმ მიზეზებს, რომლებმაც კომბინატი ჩამაარჩინეს.

მთავარ ინჟინერს ამის მიზეზად მიაჩნია სუსტი შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინა, განსაკუთრებით შიფერის წარმოებაში, უმიზეზო გაცდენები, კადრების დენადობა და სხვა.

ახლა ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ ახალი წლიდან ზუსტი რიტმით და ნაყოფიერად ვიმუშაოთ, დაგვაამეყა ცემენტ-შიფერის კომბინატის დირექტორმა თ. ალიბეგაშვილმა.

— განა რეკონსტრუქცია მომავალი წარმატების ერთადერთი გარანტიაა?

— რა თქმა უნდა, არა. კომბინატში უკვე შეიქმნა მუშაობისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მომავალი მეექვატორები სასწავლო პრაქტიკას ნოვოსიბირსკის მონათესავე საწარმოებში გადიან; სასიკეთო ძვრებს მოველით სოციალური პროგრამის განხორციელ ლ ბ ი თ-ისაც. ამ დღეებში დამთავრდება ორი ოცბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, საახალწლოდ გავსხნით მუშათა სასადილოს, ამუშავდება კომბინატის პოლიკლინიკა. მომავალში კიდევ ავაშენებთ საცხოვრებელ სახლებს, სპორტ ბაღებს, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტებს.

ბ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საახალწლო ნობათები

შემციცრდა ხელით შრომა

ჰიათურა. ჰიათურმაგანუმის საწარმოო გაერთიანების სტალინის სახელობის მაღაროთა-სამმართველოს კოლექტივი კვლავ საუკეთესოთა რიგებშია. სამოთელებმა თერმეტ თვეში შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და ხარისხიანი მადნის ამოღების წლიური გეგმები. დაზოგეს 316.800 მანეთი, ხოლო შრომის ნაყოფიერება რვა პროცენტით გაზარდეს, მთლიანად შეასრულეს მიმდინარე წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი.

წარმატება განსაზღვრა ახალი ტექნიკის დანერგვამ, რის შედეგადაც 75 პროცენტით შემცირდა ხელის შრომა. საწარმოს ინტენსიფიკაციის საქმეში უცვლელი წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

შესანიშნავად შრომობს მაღაროთასამმართველოს მეექვსე უბანი, რომელსაც გამოკდილი სამთოელი ე. ყიფშიძე ხელმძღვანელობს. პირველობას არ თმობენ მბურღავი ზ. გამეზარდაშვილი, გვირაბგამყვანები ი. ფხალაძე, ვ. გოგოლიძე, ნ. შაბარაშვილი, ტ. კუპრაძე, ი. ჭუმბურიძე, ჯ. ყვავაძე და მ. გოგოლიძე, რომლებიც ცვლის დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებენ.

მაღაროთასამმართველოს კოლექტივის გადაწყვეტილებაა ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულოს. (საკ. კორ.).

დიდმოგებიანი საწარმო

ზუგდიდი. (საკ. კორ.). უალკოჰოლო სასმელების კომბინატის კოლექტივმა ნოემბრის დამდეგს შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის წლიური გეგმები. შრომის ნაყოფიერების ზრდამ 115,5 პროცენტი, ხოლო მოგების 121,6 პროცენტი შეადგინა. სისტემატურად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, წლების განმავლობაში აქ არ მიუღიათ არც ერთი რეკლამაცია. კომბინატმა ყველა მაჩვენებლების მიხედვით შეასრულა მიმდინარე წლის ვალდებულებანი.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში კომბინატის კოლექტივმა სამჯერ გაიმარჯვა რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებს შორის გაწეილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოდა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის კომბინატისა და შესაბამისი პროფკავშირის ვარდამავალი წითელი დროშით, სპატიო სიგელითა და პირველი ფულადი პრემიით.

კომბინატის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელი საამქროს კოლექტივმა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაწეილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობენ მუშები ქ. გულბანი, რ. ბაღიშვილი, ვ. სართანია, საქალაქო საბჭოს დეპუტატი ლ. გუგუნია, ლ. მანგაძე, ი. კორკელია, თ. ბუკია, რ. ჭითანავა, ვ. დიხამინჯია, ა. ფიფია, დ. ნანავა. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სამეურნეო ცვლილებათა წინ

კარსმოვდგარ წელს, მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან ერთად, რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები თავიანთი საქმიანობის თვისებრივად ახალ ეტაპს დაიწყებენ. ამიტომ დღეს, ღრმა ეკონომიკური ცვლილებების წინ, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, აზროვნების გარდაქმნა განსაკუთრებულ კონკრეტულობასა და სიმწვავეს იძენს. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მთავრდება მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც შრომითს კოლექტივებს მიეცათ ახალი შეფასებითი კრიტერიუმების შესაბამისად ძალების დაბაზმვისა და მუშაობის ორგანიზაციისათვის.

ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე საწარმოთა გადაყვანის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე. სხდომაზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ მოემზადა რესპუბლიკის ზოგიერთი წარმოება უფლებების შემდგომი გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გადიდების, სრული სამეურნეო ანგარიშისა და პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში სამუშაოდ. განიხილეს აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკაში ფოთის ექსპერიმენტის შემდგომი გავრცელებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომთა დარგთშორისი ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური სისტემის შექმნის საკითხები.

ამ საკითხებზე ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ, სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა დ. ღ. ქართველიშვილმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. დ. გულუამ.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზიანი.

შედეგები შეიჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

აღინიშნა, რომ საქმიანობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლისათვის მზადება ყველგან როდი მიმდინარეობს შეუფერებლად. შრომითს კოლექტივებში სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვას აფერხებს მთელი რიგი პრობლემები და სიძნელეები. ზოგიერთ ხელმძღვანელს დღემდე არ გარდაქმნია შრომითი კოლექტივების მართვის სტილი და მეთოდები, მუშაობს ძველებურად, სათანადო ყურადღებას არ უთმობს წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხებს.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში მთელი რიგი წლების მანძილზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა სერიოზულად აფერხებს დარგის გადაყვანას ანლებურ მუშაობაზე. რესპუბლიკის მსუბუქი ინდუსტრია ხუთწლედის მეორე წელიწადს პრობლემების მძიმე ტვირთით იწყებს. საწარმოთა ნახევარზე მეტმა თავი ვერ გაართვა მოგების გეგმას. დარგის ხაზით არამწარმოებლურმა ხარჯებმა თითქმის 18 მილიონ მანეთს მიაღწია. მას დაედო 107 მილიონ მანეთზე მეტი ბანკისა და მიმწოდებლების ვალი.

უკეთესი ვითარება როდია რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში, ზოგიერთ სხვა სამინისტროსა და უწყებაში. ბოლო ხანს ჩამორჩენა ხე-ტყის და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო.

მთელი რიგი დარგებისა და საწარმოების არასტაბილურმა მუშაობამ განაპირობა მათი მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ეს სერიოზულად უთხრის ძირს იმ ბაზისს, რომელზედაც უნდა იყოს დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი მეთოდები, რომლებსაც უნდა მოჰყვეს ეფექტიანობისა და ხარისხის დაჩქარებული ზრდა.

ახალი წლიდან რესპუბლიკის თორმეტი საწარმო და გაერთიანება გადადის სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითნაშოვნურებასა და თვითდაფინანსებაზე. ეს პროცესი მარტივად, უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს, თქვეს ორატორებმა. მის მსვლელობაში თვალნათლივ ვლინდება ის პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მეორეხარისხოვნად ითვლებოდა, ახლა კი განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს, გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს. მათ შორის არის მიწოდების დისციპლინაც. მას ქრონიკულად აღწევენ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივები. ამასთან დაკავშირებით კვლავ პრინციპულ სიმაღლეზე დადგა მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი. დახმარებას კი არ უნდა სთხოვდნენ ზემდგომ ინსტანციებს, არამედ თავადვე უნდა ამყარებდნენ წესრიგს თავიანთ მეურნეობაში, უნარიანად ავლენდნენ, და იყენებდნენ რეზერვებს — აი, რა მოეთხოვებათ ახლა წარმოების მეთაურებს. მაგრამ იგივე ქუთაისის ავტოქარხნის ადმინისტრაცია კვლავინდებურად ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დარგს „გამოგლიჯოს“ დამატებითი ასიგნებანი, რათა საკუთარი ხარვეზები დაფაროს. სხდომაზე მოიყვანეს ასეთი ციფრები: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ზენორმატიულმა, ბანკის მიერ დაუკრედიტებელმა ნაშთებმა 50 მილიონ მანეთს მიაღწია, დავალიანებამ 55 მილიონ მანეთს დაგადაჭარბა, საწარმომ პრაქტიკულად დაკარგა საკუთარი საბრუნავი სახსრები, მაგრამ მაინც აქ არ ჩქარობენ წარმოებიდან მოხსნან ყველა პარამეტრებით მოძველებული ავტოსაწყვრის მოდელი და ამის სანაცვლოდ გაზარდონ უნიკალურლი დიზელის ავტომატარებლების გამოშვება. პროდუქციის ფეთდღრებულება მნიშვნელოვნად მეტია დაგეგმილზე. რაც შეეხება ხარისხს, მის დონეს მოწმობს ასეთი ფაქტი: როგორც კი სახელმწიფო მიღებამ დაიწყო ავტომატარებლის შემოწმება, მისი რაოდენობრივი გამოშვება მკვეთრად შემცირდა. არც არის საკვირველი — სამ მაწყანაში მთლიანად აღმოაჩინეს სტანდარტებისაგან 27 გადახრა.

კვლავ უპირველესი პრობლემაა ნაწარმის ხარისხი თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელშიც“. ისევე როგორც სხვა საწარმოებში, სახელმწიფო მიღება თანდათანობით ინერგებოდა ამ გაერთიანებაშიც. მაგრამ მხოლოდ ამ დღეებში წარუდგინეს სახელმწიფო მიღებას პირველი ავტომატი. შედეგი საგალალო იყო — არასაუწყვნო კონტროლმა 72 პრეტენზია წაუყენა მას!

ამავე დროს იქ, სადაც შეიგნეს გარდაქმნის მნიშვნელობა, წინასწარ გააანალიზეს თავიანთი მიღწევები და პრობლემები, დაამყარეს წესრიგი თითოეულ სამუშაო ადგილას, განამტკიცეს დისციპლინა, ალარ არის შეფერებები ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვაში. საქმისადმი ასეთი მიდგომის მაგალითი შეიძლება იყოს თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება. აქ წინასწარვე შეიმუშავეს და დანერგეს შიდასაწარმოო დაგეგმვის ხუსტი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკულად ყველა პოზიციას, ამასთან მომავლისათვის მიერ შეკვეთების შესრულების ვადასაც კი. მწყობრ მუშაობას მაშინვე მოჰყვა შედეგი — გაერთიანებაში მოგების გეგმა 105 პროცენტით შესრულდა.

მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლა, ხაზგასმით აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა, მოითხოვს, რომ მაქსიმალურად გააქტიურონ მეცადინეობა პარტიულმა ორგანიზაციებმა, თითოეულმა კომუნისტმა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა სამეურნეო სიახლემ მოუმზადებელს არავის მოუსწროს, ზორციელდებოდეს მტკიცედ და თანამიმდევრულად. ამიტომ უაღრესად საჭიროა გულდასმით, ყოველმხრივ მოვემზადოთ, მოვეთათბიროთ ადამიანებს, ღრმად გავეცნოთ კოლექტივებში განსახორციელებელ გარდაქმნათა არსი, მიზნები და მნიშვნელობა.

თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმაც, რომლებმაც არსებითად უნდა გააქტიურონ მუშაობა „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გადიდებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

1 იანვრიდან რესპუბლიკის მრავალი საწარმოს და გაერთიანებისათვის დგება მუშაობის თვისებრივად ახალი ეტაპი. მეურნეობრიობის ახალი სისტემის ამოქმედებას ხელი უნდა შეუწყოს ყველამ — მუშა იქნება ეს თუ მინისტრი, პარტიული მდივანი თუ რიგითი კომუნისტი. ეს არის დაჩქარების, გარდაქმნის გარანტია.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. ა. მალკოვი.

(საქინფორმი).

ყურადღება: პროდუქციას მიიღებს სახელმწიფო

დავიცავთ მარკის ღირსებას

სამი შეკითხვა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე

გადამსვლელ საწარმოს ხელმძღვანელს

რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა მომავალი წლიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადადის. ქარხნის დირექტორს ო. ჯანელიძეს ესაუბრა „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი მ. გორგილაძე.

— როგორ მოემზადეთ ახლებური მუშაობისათვის?

— მეთერთმეტე ხუთწლედის მიწურულსა და მიმდინარე წელს ბათუმის მანქანათსაშენებელ ქარხანაში მრავალი ტექნოლოგიური სიახლე განხორციელდა. ამ მხრივ დიდი დახმარება გაგვიწიეს მეცნიერებმა. მათი მეშვეობით დავნერგეთ ახალი მანქანები, შესრულდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად შეიქმნა პლაზმური ჭრის უნიკალური დანადგარი, რომელიც ლითონს უეანგბადოთ, სწრაფად და წმინდად ჭრის. სიახლე იყო ნიკელითა და თუთიით ზედაპირის დაფარვის დიდმწარმოებლური მოწყობილობის შექმნაც. საწარმოში სხვა მრავალი სიახლეც დაინერგა. ამით გაგვიადვილდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ხარისხისათვის ბრძოლის რთულ გზაზე ჩვენ გარკვეული ნაბიჯი გვაქვს გადადგმული. საერთო პროდუქციაში სახელმწიფო ხარისხისშინაანი პროდუქცია 64,4 პროცენტს შეადგენს. კარგად გვესმის, რომ ეს საკმარისი არ არის და ყველაფერს ვიღონებთ ამ მაჩვენებლის გადიდებისათვის.

ახლებური მუშაობისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოები შეგასრულეთ. შეგქმნილნი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს შემუშავებული გეგმის შესრულებას. მოვეთათბირეთ მუშებს, მთელ კოლექტივს. კოლექტივმა მოიწონა ახლებური მუშაობის აუცილებლობა. საქმე ეხება როგორც ქარხნის მარკის ღირსებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ისე თითოეული მუშის მატერიალურ დაინტერესებას. ამიტომაც მოსამზადებელ სამუშაოებს ყველამ ერთსულოვნად მოჰკიდა ხელი.

სამუშაოთა მიცულობა სოლიდური იყო. განხორციელდა ყველა ჩარხის, ნაკადური ხაზის, დანადგარის ატესტაცია, ტექნიკა შემოწმდა სიზუსტის მიხედვით. ჩამოვწერეთ ზოგიერთი ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მოწყობილობა, ზოგიერთი კი კაპიტალურად შევაკეთეთ. ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობები და ამის შესაბამისად შეგიძინეთ როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთული დანადგარები. დაგეგმილია გადიდდეს პროგრამული მართვის ჩარხების უბანი. ფართო მოხმარების საგნების უბანზე დაიდგმება წნეხები, რომლებიც ტექნიკა, რაც გამოათავისუფლებს რამდენიმე მუშას, დაგვიზოგავს სახსრებს.

პარტიის მოწოდების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას. უნდა ავითვისოთ 50 კუბური მეტრი ტეგადობის უეანგავი ფოლადის ავზები. მომდინარეობს ძველი მანქანების მოდერნიზაცია და ახალი სახეობის მანქანების ათვისება. მარტო კვების მრეწველობისათვის უნდა გამოვუშვათ ხუთი მილიონი მანეთის ასეთი ავზები. დაგეგმილია ჩაის მრეწველობისათვის 5,5 მილიონი მანეთის მანქანადანადგარების დამზადება. მომდინარე წელს ქარხანა გამოუშვებს 18,3 მილიონი მანეთის პროდუქციას, ხოლო ხუთწლედის დამლევს — 21,2 მილიონი მანეთისას. თავისებურ სიძნელეს გვიქმნის ის, რომ კოლექტივს ყოველწლიურად უხდება ახალი მანქანების ათვისება და დამზადება.

— რა პრობლემებმა გაქვთ გადასაჭრელი?

— გაისად უნდა დავამზადოთ 10 დასახელების მანქანა-მოწყობილობის საცდელი ნიმუში, რაც, რა თქმა უნდა, ინჟინერ-კონსტრუქტორთა და მთელი კოლექტივის დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

მუშახელი საკმარისად გვყავს, მაგრამ არ გვყოფნის მაღალკვალიფიციური კადრები. ურთულესი მან

გარდატეხა უნდა მოხდეს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ სავტომობილო ტრანსპორტის სამეთაურის კოლეგიის წევრი კომუნისტების მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ. აღინიშნა, რომ დარგში გარდაქმნა ხორციელდება ზერელედ და ფორმალურად, არ ეხება ტრანსპორტის საწარმოთა მუშაობაში არსებულ დიდ პრობლემებს, არ წარმობს ბრძოლა ნაკლოვანებების, სოციალისტური კანონიერების დარღვევების, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. რა ღონისძიებანი ხორციელდება კოლეგიის საქმიანობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, სამინისტროს სისტემაში დისციპლინის დარღვევების, დატაცებების, მექრთამეობის ლიკვიდაციისათვის? ეს საკითხები საკვანძო იყო სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა.

სხდომის მონაწილენი, რომლებიც არ იყვნენ შეზღუდული რეგლამენტის, ორატორთა წინასწარი სიის ჩარჩოებით, ოთხ საათზე მეტ ხანს მუშაობდნენ. ტრიბუნაზე უკვე 15 კაცი გამოვიდა, მსუყე ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, იმისათვის, რომ ახალი შინაარსი ფიენიკებინთ მათთვის პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესახამისად? გამოსვლებში პირდაპირ აღინიშნა: გარდაქმნის პირველი ნაბიჯები მოწმობს, რომ სამინისტროს აპარატის ცალკეული ხელმძღვანელ მუშაკებს, ავტოსატრანსპორტო გაერთიანებების, საწარმოებისა და კოლონების დირექტორებს არ სურთ დაამსხვრიონ სტერეოტიპები, უარი თქვან საქმისადმი ძველებურ მიდგომაზე. პრაქტიკულად ყველა გამოსვლაში — სამინისტროს კოლეგიის მუშაობის რა ასპექტსაც უნდა შეეხებოდნენ — აღიძრა დისციპლინისა და საკადრო პოლიტიკის განმტკიცების საკითხები. ითქვა, რომ უფრო გაბედულად უნდა დაწინაურონ პასუხსაგებ პოსტებზე ენერგიული, ინიციატივიანი მუშაკები, რომლებსაც შესწევთ უნარი წინააღუდგნენ ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, გამომძალველობა, ხალტურა.

კრიტიკას ბეჯერჯერ ჰყოლია კონკრეტული ადრესატები: ასახელებდნენ გვარებს, ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებსა და საწარმოებს, მოპყავდათ უმსგავსო ფაქტები. მაგალითად, აჩვენეს სახსტანდარტის მიერ დაპლომბილი სპიდომეტრები, რომლებიც „გაფუჭეს“ ავტომანქანების მძღოლებმა და თავიანთ სასარგებლოდ „ამუშავებდნენ“. ეს სპიდომეტრები ჩამოართვეს თბილისის №2651 ავტოკოლონის, №1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, შარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებს.

ზოგი თვალს არიდებს ხარვეზებს და ბოროტმოქმედებასაც კი, არ იჩენს სათანადო სიმტკიცეს, პრინციპულობას მათს დაძლევაში. ასეთ ხელმძღვანელთა შორის არიან სამგზავრო ავტოსადგურებისა და საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანის გაერთიანების უფროსი გ. ბალარეიშვილი, სამინისტროს ტექნიკური სამართველოს უფროსი ჯ. გელაშვილი, მგზავრთა გადაყვანის სამმართველოს უფროსი ა. ჩიჩუა, საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი გ. ძიძიშვილი, მომრაობის უსაფრთხოებისა და საგზაო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი გ. ჯამალაშვილი და სხვები.

უკომპრომისოდ დაისვა სამინისტროს კოლეგიის, პირადად მინისტრის წინაშე საკითხი: თუ ეს და სხვა ხელმძღვანელები უახლოეს ხანში არ გამოსწორებენ მდგომარეობას მათთვის მინდობილ უბნებზე, საჭირო გახდება მათი თავიდან მოშორება და მათს თანამდებობებზე უფრო პრინციპული, ენერგიული ადამიანების დანიშვნა, კმარა „ობიექტური სიძნელეებითა და მიზეზებით“ თავის მართლება. კარგა ხანი დადგა დრო, მკაფიო შეფასება მიეცეს თითოეული მუშაკის საქმიანობის სტილს, მათს შეცდომებს.

კოლეგიის სხდომაში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური და რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვ. შარაშენიძე, რომლებმაც თავიანთ გამოსვლებში ყურადღება მიაპყრეს გზშირებული ავარიების, სამართალდარღვევების ფაქტებს. ვერ ვიტყვით, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროო და მისი შესაბამისი სამსახურები მათ შიმართ შემწყარებლობას იჩენენ. მაგრამ აქაც შეინიშნება სუბიექტივიზმი, ის, რომ არ სურთ მიიღონ პრინციპული გადაწყვეტილებანი.

კრიტიკულად შეაფასეს რა სამინისტროს აპარატის პარტიული ბიუროს, მისი მდივნის გ. როდონაიას საქმიანობა, ორატორებმა აღნიშნეს, რომ აქ ნაკლებად ეწევიან პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, კი არ ამზადებენ. კი არ რაზმავენ სამეურნეო ხელმძღვანელთა კადრებს, არამედ ეწევიან მათს მაგივრობას, დუბლირებას.

კოლეგიის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი.

კოლეგიის სხდომაშე გამოთქვა რწმენა, რომ უახლოეს ხანში ყველა ნაკლი, რომლებიც აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის მუშაობის საკითხის განხილვისას, აღმოიფხვრება, და 1987 წლიდან მეუნენეობრიობის პროგრესულ პირობებზე გადასვლა რესპუბლიკის ავტომობილისტებს საშუალებას მისცემს მიაღწიონ ახალ მაღალ მიჯნებს. (საქინფორმი).

ვ. ი. ლენინის სახელობის „თბილისგვირაბმშენის“ მოწინავე კოლექტივმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — კავკასიონის მთავარ ქედში დამთავრდა საავტომობილო გვირაბის გაყვანა, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მოკლე გზით დააკავშირებს რუსეთის სხვა რესპუბლიკასთან. ამ დიდ საქმეში გვირაბგამყვანებთან ერთიან შრომაში იღვწოდნენ, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების, საავტომობილო ტრანსპორტის და საშენ მასალათა სამინისტროების საწარმოთა მუშაკები და სპეციალისტები, ასევე კავკასიის ტრანსმშენის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები.

სურათებზე: მებეტონე ა. ტაბატაძე, გვირაბგამყვანი ბ. ბესტაევი, გვირაბგამყვანთა ნაწილის უფროსი ბ. გაჩეჩილაძე, მებეტონე ჯ. ტაბატაძე და გვირაბგამყვანი ლ. ტასოევი; გვირაბის სამხრეთი პორტალი.

ბ. კიკვიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოები მუშაობენ

სოციალური საკითხის მოგვარება წარმოების მოწესრიგების მძლავრი ბერკეტია. თუ მუშათა კეთილდღეობაზე, მათ წახალისებასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავენ, ამან შეუძლებელია ნაყოფი არ გამოიღოს, თავისი კვალი არ დაანჩნიოს შრომისათვის თავდადებასა და გულმოდგინეობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ნათქვამის ნათელსაყოფად თბილისის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოს ცხინკომბინატის მაგალითიც იკმარებდა.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ კომბინატის მუშათა სასადილოში უფასო კვებაა. მეორე და მესამე ცვლაში მუშებს საამქროშივე ასაუზმებენ, ხოლო ლუჩინის დამხმარე მეურნეობიდან ნებისმიერ დროს, უხვად, მოთხოვნილების მიხედვით მოსდით სურსათ-სანოვაგე: ღორის, ქათმისა და იხვის ხორცი, წიწილები, თაფლი და კვერცხი. საწარმოს ეზოშივეა ხორცისა და ხილბოსტნეულის მაღაზია, აფთიაქი, სტომატოლოგიური კაბინეტი, პროფილაქტორიუმი, სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, ფსიქოლოგიური განტვირთვის კაბინეტი, ფინური აბანო, სამკერვალო (პირიმზის ფილიალი). ამგვარად, მუშებს საოჯახო საჭიროებისთვის, ჯანმრთელობის აღსადგენად დროის დაკარგვა არ უხდებათ. ყველაფერი იქვე აქვთ.

ბავშვების დიდი სიყვარული და მათდამი ყურადღება ხომ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. საბავშვო კუთხეების, მცირე ზოოპარკისა და მცირე რკინიგზის მიხედვით ეზოშიეე მიხვდებით, რომ კომბინატში გახსნილია საბავშვო ბაღი და დედებსა და ბებიებს შესაძლებლობა აქვთ აქვე დატოვონ პატარები, გულმშვიდად იმუშაონ, ხოლო შესვენების საათებში დახედონ შვილებსა და შვილიშვილებს, იყვნენ მათთან ახლოს. ქალებისადმი ზრუნვის გაძლიერება იმითაც არის განპირობებული, რომ 600 მუშიდან 80 პროცენტს ქალები შეადგენენ.

წინათ კრებაზე ჩუმად ისხდნენ. არავინ ცდილობდა გამოსვლას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, თუ კრებაზე გამოსვლას მოისურვებდა ახალგაზრდა, წერილობით უნდა მიემართა პრეზიდიუმისთვის, თორემ ისე კრიტიკაც არ დაადრეკინებდნენ. გამომსვლელებიც წინასწარ იყვნენ შერჩეულნი.

— ახლანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის ვცდილობდით ახალი იმპულსი, ცოცხალი, შემოქმედებითი მიმართულება მიგვეცა, — გვითხრეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. — დაგვეძლია პასიურობა და ინერტულობა, რაც ამ ბოლო ხანებში კიდევ უფრო მოგვეძალა. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ უკვე შეინიშნება ამ საში‌ში სენის დაძლევის სასიკეთო ტენდენცია.

რა უნდა გააკეთონ კომკავშირის კომიტეტმა, კომკავშირულმა აქტივმა, ახალგაზრდობა რომ გაიყოლიონ, დარაზმონ ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად?

კომკავშირული მუშაობის სტილის გარდაქმნაზე და კიდევ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ახალგაზრდები თამამად, საქმიანად მსჯელობდნენ რესპუბლიკის კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე.

რაზეც უნდა ელაპარაკათ დელეგატებს, საუბარი უცვლელად ეხებოდა ერთ მთავარ აზრს: ახალგაზრდობა ცოცხალ მუშაობას ელის, მას ენდობიან, ყოველგვარი კარნახის, ძალდატანების გარეშე ანდობენ პრობლემების გადაწყვეტას, განურჩევლად იმისა, ეხება ისინი წარმოებას თუ ყოფა-ცხოვრებას, ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებაში მონაწილეობას თუ თავისუფალი დროის გონივრულ ორგანიზაციას.

ყურადღება განსაკუთრებით იმ ამოცანებზე გაამახვილეს, რომლებიც ახალგაზრდობას სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმმა დაუსახეს. ბევრი რამ ითქვა იმ დიდ სიკეთეზეც, რომელიც ახალგაზრდებს მოუტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მათი როლის გაძლიერების შესახებ“.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ოთხმოცდაათი ათასზე მეტი ახალგაზრდა გამოვიდა, თითქმის ყოველი მეხუთე კომკავშირელი. მათ მრავალი მწვავე, მტკივნეული საკითხი წამოსწიეს წინა პლანზე.

საინტერესოდ, შემოქმედებითად რომ ჩატარდა არჩევნები, ეს იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადების დროს კომკავშირის კომიტეტების მუშაობა ჭაბუკებისა და ქალიშვილების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციაში მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა, მისი ანალიზი, პრაქტიკული დახმარების გაწევა — აი, რას ცდილობენ ცენტრალურ კომიტეტში და მათი მუშაობის მეთოდიც სწორედ ეს არის.

კომკავშირის რაიკომები და ქალაქკომები დღეს უარს ამბობენ მასშტაბურ, მრავალრიცხოვან ღონისძიებებზე. სწორედ ამიტომ შეძლეს მოკლე დროში კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა. ამას ხელი შეუწყო ახალგაზრდა კომუნისტების სამუშაოდ გაგზავნამ კომკავშირში. ეს კი, როგორც პრაქტიკამ დაგვახახა, კომკავშირში პარტიული ფენის გაზრდის გზაზე გადადგმული თვითმნზნური ნაბიჯი კი არა, კომკავშირული ორგანიზაციისადმი მისი ინიციატივის, დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით გაწეული მუდმივი დახმარებაა.

საკმაოდ მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ხელვაჩაურის, ჯავის, ცხაკაიასა, ლაგოდეხის, მახარაძის რაიონებში. აქაურმა კომკავშირის კომიტეტებმა გააანალიზეს გასული წლის გამოცდილება, გაითვალისწინეს ნაკლი და შეცდომები, გადაჭრეს ნეს თავიანთი მუშობა, მიაგნეს მუშაობის ახალ ფორმებს.

საინტერესო და ყურადსაღებია ქუთაისის კომკავშირის ქალაქკომის. გამოცდილება. მთელ ქალაქში განლაგებულია საყრდენი პუნქტები, რომლებიც „კომკავშირულ ფოსტას“ ქმნიან, აქ თავს იყრის და მუშავდება საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, რომლებსაც საქალაქო შტაბში ოპერატიულად განიხილავენ, იქვე მუშავდება კონკრეტული ღონისძიებები. დგინდება მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ვადა. ეს იოლია და ამავე დროს ეფექტიანიც. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აზრით, საქმის ასეთი ორგანიზაცია მხარშესასრულოა. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პროგრესის“ ახალგაზრდა მუშუმბა წამოაყენეს წინადადება, — საწარმოს პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით შეიქმნას ახალი კომკავშირული ორგანიზაცია. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში ბავშვებმა, ბებიებმა და ბაბუებმა გადაწყვიტეს ბელტორნეობის მეგობრულები საკუთარი თუთის ნარგავებით მოამარაგონ.

არა ერთმა და ორმა კომკავშირელმა იკისრა პირადი ვალდებულება.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა სრულად საკავშირო ალკა XX ყრილობის გახსნის დღისათვის დამატებით 100 ტონა ფოლადი გამოადნოს. ეს და კიდევ . უამრავი სხვა მაგალითი მოწმობს ახალგაზრდობის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდას.

სამწუხაროდ, ანგარიშგება-არჩევნები ძალიან დაბალ დონეზე მიეწყო ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში. ზოგან კრებები

ანგარიშს აბარებს კომკავშირი

მოთავლისაკენ მიმართული

დაეჭირას და ფართო გავრცელებას მოითხოვს.

აღსანიშნავია აგრეთვე მეორე მაგალითი. კომკავშირის მცხეთის რაიკომის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე ძალიან მჭიდრო კონტაქტი დამყარდა საქმიან პრეზიდიუმს, გამომსვლელებსა და დარბაზს შორის. პირდაპირ ადგილიდან უპასუხებდნენ კითხვებსა და კრიტიკულ შენიშვნებზე პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები. ასეთი ცოცხალი, უშუალო ურთიერთობა ძალიან სასარგებლო და საჭიროა.

წლევანდელი საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი იყო აგრეთვე პრინციპული თვითშეფასება და კრიტიკული ტონი. 45 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის სქემიანობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. კომკავშირელები თამამად აკრიტიკებდნენ თავიანთ ლიდერებს გამოსვლებში, რომლებიც ზოგჯერ ძალზე მწვავე იყო, ისინი არ იფარგლებოდნენ მარტო ვიწრო, მხოლოდ თავიანთი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი საკითხებით. პრობლემებს განიხილავდნენ ფართოდ და მათ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უდგებოდნენ. კრიტიკა ხშირად ზემდგომ კომკავშირულ და სხვა ორგანოებს ეხებოდა.

ასეთი სქემიანი, მწვავე საუბარი გაიმართა, მაგალითად, ქალაქ ცხინვალის, გულრიფშის, სიღნაღის, ზუგდიდის და სხვა კონფერენციებზე.

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის დროს, იშვება ახალგაზრდული თაოსნობები, წამოწყებები, მოძრაობები. გამონაკლისი წელსაც არ იყო, პირიქით, უამრავ თაოსნობას დაედო სათავე.

მაგალითად, ცნობილია, რომ რესპუბლიკაში კომკავშირი კაკლის გაშენებას შეფობს. ახლაც იშვა ახალი თაოსნობა — რაიონული კონფერენციის, ქალაქისა და საოლქო კონფერენციის ყველა დელეგატმა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დაწყების წინ უნდა დარგოს თავისი კაკლის ხე.

„თბილისგვირაბმშენის“ № 32 გვირაბგამყვანი რაზმის კომკავშირელებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შეასრულონ. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პროგრესის“ ახალგაზრდა მუშუმბა წამოაყენეს წინადადება, — საწარმოს პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით შეიქმნას ახალი კომკავშირული ორგანიზაცია. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში ბავშვებმა, ბებიებმა და ბაბუებმა გადაწყვიტეს ბელტორნეობის მეგობრულები საკუთარი თუთის ნარგავებით მოამარაგონ.

ასეთი ინიციატივა, ასეთი ენერგია, ასეთი ადამიანური ურთიერთობა ბევრ ადგილას, ბევრ საქმეში, ბევრ ადამიანს ეტყვის, ეს ასე, ეს ასეა, ეს ასეთია, ეს ასეთ ადამიანებს ეს ასეთ ადამიანებს ეს ასეთ ადამიანებს

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲑᲐ

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ



1880-ᲘᲐᲜᲘ წლების მიწურულს ჩანს გადაღებული ილია ჭავჭავაძის ერთი პორტრეტი, რომელიც, როგორც ეს სხვა ფოტოებთან შედარებიდან ირკვევა, უნდა ეკუთვნოდეს ცნობილ თბილისელ ფოტოგრაფს დ. ერმაკოვს. მასზე გამოსახულია წვერ-ულვაშში ჩაღარაგარეული პოეტი საოცრად მეტყველი სევდიანი თვალებით.

ეტყობა, ილიას ეს პორტრეტი გამორჩეულად ჰყვარებია მის მეუღლეს ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძისას. ილიას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, 1907 წლის 27 ოქტომბერს, — პოეტის დაბადების დღეს, — სწორედ აღნიშნული სურათი მიუძღვნია მეგობარი ქალისათვის ოლღა ჭავჭავაძეს შემდეგი სამახსოვრო წარწერით:

„1907 წ. 27 ოქტომბერი.

დიდად პატივცემულო ჩემო ბატონო კნეინა ბაბო!

მოგართვით ჩემთვის დაუვიწყარი სურათი ჩემი ილიასი.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი უბედური ᲝᲚᲦᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ“.

მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ილიას სურათის ამ ცალს (ლიტ. მუზ. №7565-ი) ფოტოგრაფის დამღად აქვს არა „დ. ნ. ერმაკოვი“, არამედ, „ი. შიხმანი, ტფილისი“. როგორც ჩანს, ოლღა ჭავჭავაძემ ილიას დაღუპვის შემდეგ თბილისელ ფოტოგრაფს ი. შიხმანს გაამრავლებინა დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოდედანი და პოეტის დაბადების დღეს დაუგზავნა მისი ხსოვნის პატივისმცემლებს. ამას გვაფიქრებინებს ოქსფორდში დაცული ოლღას 1908 წლის 16 მარტის წერილი მარჯორი უორდროპისადმი, რომელშიც იგი წერს: „მომეცით ნება, ჩემი დაუვიწყარი ილიას პორტრეტი მოგართვათ, გადავაღებინე და ვინახამდი“.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ დემოკრატიის შეუნელებელი განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ დავძლევთ დღეს ჩვენი სინამდვილისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი. მათ სრულ აღმოფხვრას ისახავს მიზნად სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. ამასვე ისახავს მიზნად ამას წინათ მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური კანონიერების და მართწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“.

კანონის განუხრელი დაცვა, ნათქვამია დადგენილებაში, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების, ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების აუცილებელი პირობაა. ამიტომაც ესოდენ დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც სამართალდაცვითს ორგანოებს ეკისრებათ. უწინარეს ყოვლისა სწორედ ისინი არიან უფოდებული უზრუნველყონ სამეფო საზოგადოებრივი წესრიგი, შექმნან ხელშემწყობი მორალურ-ფსიქოლოგიური ფონი ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის მიერ დასახულ დიდ ამოცანათა წარმატებული განხორციელებისათვის.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავამყაროთ მკაცრი წესრიგი თვით წესრიგის დამცველთა შორის და, კერძოდ, შინაგან საქმეთა ორგანოებში. შემთხვევით, როდი აღინიშნა ყრილობაზე, რომ ზნეობის შესახებ არ უნდა ლაპარაკობდნენ უზნეო ადამიანები, მხოლოდ წესიერ ადამიანებს აქვთ უფლება დამმყარონ წესრიგი.

მაგრამ დღესაც ბოლომდე გაწმენდილი არ არის მილიციის რიგები იმთგან, ვინც დაკარგა მორალური უფლება ჭკუას ასწავლიდეს სხვებს. განსაკუთრებულ საიდუმლოებას არ შეადგენს საზოგადოებრიობისათვის ის, რომ პოპეზურობის, თვითდამშვიდებისა და უდარდელობის ატმოსფერომ საგრძნობი ზიანი მიაყენა შინაგან საქმეთა ორგანოების ავტორიტეტს.

იყო დრო, როცა განვიდიდით სიძნელეებს მილიციაში კადრების მიზიდვასთან დაკავშირებით. თითქოსდა, ეს ბუნებრივი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ პასუხისმგებლობასა და ხიფათს, რომელიც თან ახლავს ჩვენს პროფესიას, მაგრამ სადღაც სამოცდაათან წლებში შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის სურვილი ერთბაშად ბევრმა გამოთქვა. თავდაპირველად ეს მოვლენაც შეეფასებინა როგორც მილიციის პოპულარობისა და მისი ინტელექტუალური დონის ზრდის შედეგი. გარკვეულწილად ეს ასეც იყო, მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ამის ნეგატიური მხარეც ცხადყო. მილიციის „ძარებს გვიმტვრევდნენ“ ადამიანები, რომელებსაც თურმე სხვა ფარული ზრახვები და ინსტინქტები ამოძრავებდათ. სამწუხაროდ, ახლა იძულებული ვართ ვაღიაროთ: კადრების შერჩევისა და განაწილების დროს არაერთგზის მოგვივიდა სერიოზული შეცდომები.

ეს მწარეც უნდა იყოს ამის შეგნება, მაგრამ ჩვენს რიგებში შემოიპარნენ ნამდვილი გაიძვერები, ხალხის ინტერესების მოღალატენი. სხვა რა უნდა ეწოდოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს ყოფილ მუშაკს ტ. ჯანჯღავას, რომელიც ახლა დაპატიმრებულია. მილიციელის მუნდირი და პირადობის მოწმობა მას მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რომ დაუბრკოლებლად შემოეტანა საქართველოში დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებანი, რათა სხვების უბედურების ხარჯზე დაეცხრო თავისი მესაკუთრული ინსტინქტები.

არადა, ადამიანებს, რომლებიც მაშინ პასუხს აგებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო პოლიტიკისათვის, არაერთგზის მიუღიათ საგნალები ჯანჯღავას საძრახისი საქმიანობის შესახებ, მაგრამ ისინი ძირისძირობამდე არ გაეკვლნენ საქმეში და არ ამხილეს ბოროტმოქმედი. პირიქით, გამოიჩინეს ყოვლად შეუწყნარებელი ლმობიერება და შემწყნარებლობა და ცდილობდნენ ხელმძღვანელ საუშაოზეც გაეძვრინათ იგი.

კედეგ კარგი, რომ ეს არ მოხერხდა, მაგრამ სამაგიეროდ განა ერთი ან ორი მსგავსი ნაძირალა გაძვრა ხელმძღვანელ პოსტებზე? გავიხსენოთ ის ფაქტები, რომლებიც მახარაძის რაიონში გამოაშკარავდა, სადაც წლევანდლამდე დიდხანს სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა. ეტყობა, ეს იცოდა აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მაშინდელმა უფროსმა გ. ჩიტიამ, რადგან იგი დიდხანს გამოთქვამდა მახარაძის რაიონში მუშაობის სურვილს. ვინმე პ. ყორდანიას მეშვეობით მან 80 ათასი მანეთი გადასცა რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს ო. თენეიშვილს მახარაძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსად რომ გადაეყვანა.

ადვილი წარმოსადგენია, რა „წესრიგი უნდა დამყარებინა“ ჩიტიას, რომელიც ცდილობდა მაქსიმალურად მოკლე ვადაში არა მარტო აეზაზღაურებინა მიცემული ქრთამი, არამედ შეეგსო კიდეც თავისი ჯიბე კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით. რაიონში შექმნილ სიტუაციას მეგვრმეტყველურად მოწმობს ის ფაქტიც, რომ სულ მალე მეკრთამეობაში ამხილეს და პასუხისგებაში მისცეს მახარაძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები — ს. კილაძე, რ. ურუშაძე, ი. ჭართველიშვილი (ჩიტია უკვე მსჯავრდადებულია).

მოდით ვნახოთ, რა ვითარებაა ავტოგზებზე. იგი კვლავ დაძაბულია. ამის ძირითადი მიზეზია მძღოლთა უდისციპლინობა, ის, რომ სატრანსპორტო საშუალებებს მთვრალები მართავენ. მაგრამ ასეთი ფაქტები, ეტყობა, სულაც არ აწუხებთ ცალკეულ მძღოლებს, რომელთა უმთავრესი საზრუნავი პირადი გამორჩენაა.

არც ისე დიდი ხნის წინათ დუშეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ავტოინსპექტორმა ო. ფრიდონაშვილმა დაიკავა მოქალაქე ბ. ჩოხელი, რომელიც ავტომობილს მთვრალი მართავდა. იმის ნაცვლად, როგორ საქმისათვის ოფიციალური მსვლელობა მიეცა, ფრიდონაშვილმა (აქამადე იგი დაპატიმრებულია) დამოღვეგისაგან 300 მახეთი აიღო და გაუშვა.

თუმცა პროფილაქტიკური მუშაობა გავაძლიერეთო, ამაოდ მაინც ვერ ძევძელით აღგვიკვეთა ტრაკსებზე ძვრავალი მძღოლების გამოსვლა. რატომ? ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ სმის მოყვარული მძღოლები, როცა საჭეს მიუსხდებიან ხოლმე, მაიხცდამაინც არ შიშობენ: თუ ჯიბეში ფული უდევთ, ავტოინსპექტორებთანაც გამონახავენ საერთო ენას. სამწუხაროდ, ფრიდონაშვილის მაგალითი გვაოწმენებს, რომ ზოგ შემთხვევაში სწორედ ასეა. ვიღრე არ აღკვეთილა ავტომაგისტრალებზე მთვრალი მძღოლების თარეში, უსაფრთხო მოძრაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ როგორც ქრთამის ამღები, ასევე ქრთამის მიმცემის მიმართ ბახვაორციელებთ სასტიკ ღონისძიებებს.

დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ ცალკეული მუშაკები თავიანთი მოქმედებით ხელს უშლიან მილიციის ავტორიტეტის განმტკიცებას საზოგადოებრიობის თვალში. როგორ უნდა შეეფიგდეთ იმას, რომ მოქალაქეებს ღამით ქუჩებში ზოგჯერ ეშინოთ... თვით მილიციელისა? და როცა შეამოწმებ, გამოდის, რომ ტყუილად არ ეშინოათ.

თბილისელი შ., რომელსაც რამდენადმე შეაგვიანდა, შინ მიიჩქაროდა. მაგრამ თავის სახლის მახლობლად იგი შეაჩერეს და, ვითომდა პიროვნების გამოსარკვევად, მანქანაში ძალით ჩაისვეს კალინინის რაიონის არასაუწყებო დაცვის წარმომადგენლებმა გ. ვარდიძემ და ი. ბაღათურიდმ. ისინი ეშურებოდნენ ახალგაზრდა ქალს, ბილწსიტყვაობდნენ, ამცირებდნენ მის ადამიანურ ღირსებას. ალბათ, მომხდარი ამბის შემდეგ დაზარალებულს მწარე ღიმილს იწვევს პოეტის სიტყვები: „მე მიცავს ჩემი მილიცია“.

ეს ფაქტი მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ მილიციის ლეიტენანტი გ. ვარდიძე პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი იყო. ახლა ვარდიძე და ბაღათურიდი დაითხოვეს ორგანოებიდან, მასალები მათ მიმართ გადაეცა პროკურატურას. თანამდებობიდან გაათავისუფლეს არასაუწყებო დაცვის სამსაზურის უფროსი ჯ. გიფრინდაშვილიც, რომელმაც ვერ უზრუნველყო სათანადო დისციპლინა ხელქვეითთა შორის.

ყოველი უსამართლობა, სოციალისტური კანონიერების _ ფეხქვეშ გათელვა ტრავმას აყენებს ადამიანის სულს, უკარგავს მართლმსაჯულების საიმედოობისა და ობიექტურობის რწმენას. ეს თავისი პირადი მაგალითით გამოსცადა თბილისელმა ა.-მ, რომელსაც ოქტომბრის რაიონის არასაუწყებო დაცვის მუშაკებმა რიგითებმა მ. კირთავამ და ფ. ონიანმა სცემეს და ფულიც წაართვეს.

გულდასაწყვეტია ამგვარი მაგალითების სიის განგრძობა. მაგრამ ფაქტი, როგორც იტყვიან, ჯიუტია. თეორი წყაროს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორმა ვ. კობაიძემ უსაფუძვლო ეშვის ნიადაგზე დააკავა და რვა დღის განმავლობაში პროკურორის სანქციის გარეშე საგამოძიებო იზოლატორში ჰყავდა მოქალაქეები მ. და ზ. ასევე უსამართლოდ მოეკცა კასპის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული მ. მიქელაძე არასრულწლოვან მ.-ს.

ყველა დამნაშავე საკადრისად დაისჯა. მაგრამ მათ მიერ გამოვლენილი უსულგულობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ დროულია მოთხოვნა, რომ დაიხვეწოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა პროფესიული ოსტატობა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეიცავს. კომპეტენტურობა ანალოგიურ დარღვევათა თავიდან აცილების უპირველესი გარანტიაა.

მაგრამ პროფესიონალიზმი მედლის ერთი მხარეა. ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია ადამიანის ფაქტორი. უსულგულობა ზოგჯერ შეიძლება გახდეს ბოროტების წყარო, რომელსაც გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება, მაგალითად, ქუთაისის სამედიცინო გამოსაფხიზლებლის მორიგის ნ. ონიანისა და მისი თანაშემწის კ. კაპანაძის სწორედ ამგვარი უსულგულობა გახდა იმის მიზეზი, რომ თვითმკვლელობით დასრულა სიცოცხლე აქ მოყვანილმა მოქალაქემ მ.-მ. რა სასჯელი უნდა მისცე ბრალეულებს, რომ ნუგეში იყოს განსვენებულის პირისუფლებისათვის? საერთოდ კი რესპუბლიკის სამედიცინო გამოსაფხიზლებელში ჯერ კიდევ არ დამყარებულა სათანადო წესრიგი. მომდინარე წლის ნოემბერში თბილისის ამ პროფილის დაწესებულების მორიგემ ვ. გალუსტიანმა (ახლა იგი დაპატიმრებულია) მოქალაქე წ.-ს გამოსძალა ათას ხუთასი მანეთი იმის საფასურად, რომ სამსახურს არ აცხობებდა გამოსაფხიზლებელში მისი მოხვედრის ამბავს.

მეტად ხელმიშვებული აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებები.

სოციალისტური კანონიერების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა დანაშაულის დამალვა, რაც მიზნად ისახავს რეგიონში ოპერატიული ვითარების შელამაზებას და მოჩვენებითი წესრიგიანობის ატმოსფეროს შექმნას. ეს მახინჯი მოვლენა მრავალი ბოროტების სათავე ხდება; ხელს უწყობს დამნაშავეს თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობისაგან, უქმნის დაუსჯელობის რწმენას, რითაც ახალი სამართალდარღვევებისაკენ უბიძგებს.

მიმდინარე წლის დამდეგს ბათუმის ერთ-ერთი ქარხნის კლუბიდან მოიპარეს მაგნიტოფონი. სისხლის სამართლის სამძებროს სამსაზრის ოპერრწმუნებულმა ე. მამულაძემ თავის უფროსის ი. ქათამაძის რჩევით აიძულა კლუბის თანამშრომლები ეყიდათ ისეთივე მარკის მაგნიტოფონი, ხოლო ძიებისათვის მიეცათ ისეთი ჩვენება, თითქოს დაკარგული ნივთი ქარხნის ეზოში ეპოვოთ. მამულაძე და ქათამაძე, რომლებიც ამ გზით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ გაუხსნელი საქმე და აქედან გამომდინარე უსიამოვნებანი, დათხოვნილი არიან შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამით როდი ამოიწურება აღრიცხვისაგან დამალულ დანაშაულთა რიცხვი.

ერთი თვის შემდეგ ბათუმელ „გამომგონებელთა კვალს“ გაჰყვა მათი თბილისელი კოლეგა ბ. ნატრაძე. მან, მართალია, თვითონ აუნაზღაურა დაზარალებულ გ.-ს დაუდგენელი ბოროტმოქმედებისა მიერ მოპარული თანხა. სამაგიეროდ მან დაზარალებულს მოსთხოვა დაეწერა, თითქოს ფულიანი ჩანთა ეპოვოს საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე, სადაც იგი მუშაობს. რაკი საჭირო ჩვენებები მიიღო ნატრაძემ გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

კიდევ ერთი თვის შემდეგ გვიან საღამოს შინ მიმავალ თბილისელ ა-ს თავს დაეხსნენ მძარცველები, რომელებმაც სცემეს და ფული წაართვეს. დაზარალებულს საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს მერვე სკქალაქო საავადმყოფოში, საიდანაც მომხდარის შესახებ მიიღეს ცნობა ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში. ფაქტის შემოწმება დაავალეს უბნის ინსპექტორს ა. მანიკაშვილს. მანაც ნაცნობ მეთოდს მიმართა: დაზარალებულს ურჩია დაეწერა, თითქოს თავს კი არაკინ დასხმია, არამედ შემთხვევით დაცემულიყოს და ამის გამო დანიანებოდეს სხეული. ამასთან ინსპექტორმა დაუთრთო, არარსებული მოწმეების ახსნა-განმარტებანი, რომელებმაც „საკუთარი თვალით დაინახეს“, როგორ წაიქცა ქუჩაში მოქალაქე ა. შემდეგ კი, რა თქმა უნდა, მანიკაშვილმა გამოიტანა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება ჩვენთვის უკვე ნაცნობი მოტივით „დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის“ გამო.

აი, როგორ იბრძვის ჩვენთან ზოგიერთი ვაი-მუშაკი სამართალდარღვევების წინააღმდეგ. სხვათა შორის, ამგვარ პრაქტიკას—ზნრად ხელისუფლების ადგილობრივი პარტიული ორგანოების წაყრუებით—ხელს უწყობს მილიციის ქვეგანყოფების ცალკეული ხელმძღვანელები. მიმდინარე წლის შემოდგომაზე შეიარაღებული ბანდიტები თავს დაესხნენ ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის არასაუწყებო დაცვის დარაჯს, ხელ-ფეხი შეუკრეს და სცადეს საწარმოს სალარო გაეტეხათ, მაგრამ სიგნალიზაციის ჩართვის გამო მძარცველები იძულებული გახდნენ განზრახვაზე ხელი აეღოთ.

ეს ამბავი ცნობილი გახდა ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებისათვის. ლოგიკის საწინააღმდეგოდ მისმა მუშაკებმა არავითარი ზომები არ მიიღეს დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნისათვის. პირიქით, სცადეს მეჩქმალათ იგი. მაგრამ ეს ვერ შეძლეს. ფაქტს შესაბამისი შეფასება მისცა ქუთაისის საკალაჯო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობამ. თანამდებობიდან გაათავისუფლეს მილიციის რაიგანყოფილების უფროსი ა. ჩარქსელიანი, მისი მოადგილე ს. შოთაძე, მორიგე ნ. ნიკოლაძე. მათ შესახებ მასალები პროკურატურას გადაეცა.

ოპერატიული ვითარების სურვილისამებრ „რეგულირების“ კიდევ ერთი ხრიკია სტატისტიკით მანიპულირება — ეგრეთ წოდებული დანაშაულის „გადატანა“ ერთი საანგარიშო პერიოდიდან მეორეში. ამისათვის უკვე დაისაჯნენ წყალტუბოს, ასპინძის, მარნეულის, ბორჯომის, ქარელის, ზესტაფონის, რუსთავის, თბილისის ოქტომბრისა და ლენინის სახელობის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები. გამოცემულია საეცციალური ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ მსგავსი ქმედებისათვის დამნაშავე პირები მიეცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები დაუშვეს საგამოძიებო, სასამართლო, სახანძრო დაცვის, სისხლის სამართლის სამძებროს, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი, სახელმწიფო ატომინსპექციის სამსახურების წარმომადგენლებმა. ეფექრობთ, მათმა ხელმძღვანელებმა უკვე შეიგნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს და სწორ დასკვნებს გამოიტანენ წარსული შეცდომებიდან.

როცა სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ვეხებით, არ შეიძლება ჯეროვნად არ შეეფასოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი და მნიშვნელობა. მათი გამოსვლები ხელს უწყობს მოსახლეობას შორის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას, საზოგადოებრივი აზრის დაჩაბვას სოციალისტური მორალისა და სამართლის ყოველი ხელყოფისადმი შეუწყნარებელი ატმოსფეროს შესაქმნელად. ხშირად გაისმის კრიტიკული შენიშვნებიც მილიციის თანამშრომელთა მისამართით. ჩვენ ყურად ვიღებთ მათ და ვცდილობთ დროზე აღმოვფხვრათ შენიშნული ხარვეზები. მინდა გამოვქვა მხოლოდ ერთი სურვილი, ჩვენი აზრით, მილიციის საქმიანობაში დადებითი მომენტების ამსახველი მასალების რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს მილიციის ავტორიტეტის განმტკიცებას, მისი საუკეთესო მუშაკების მორალურ სტიმულირებას.

რაკი დღეს მხოლოდ ნაკლოვანებებზე ვლაპარაკობთ, ეს როდი ნიშნავს, თითქოს მკითხველებისათვის სათქმელი სხვა არაფერი გვქონდეს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ძირითადი ბირთვი ჯანსაღი მუშაკებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც სიცოცხლესაც არ დაიშურებენ პარტიისა და ხალხის საქმისათვის, საამისოდ ქარცოლ მილიციას მდიდარი ტრადიციები აქვს.

თვითკრიტიკა, საკუთარ ნაკლოვანებათა გულახდილი აღიარება დღეს გვჭირდება ჯერ კიდევ არსებული „ვიწრო ადგილების“ სრული აღმოფხვრისათვის.

ფართოდ გაშალეს მუშაობა ამ მიმართულებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილებამ და პარტკომმა. უკვე შეიმჩნევა დადებითი ძვრები: მტკიცდება დისციპლინა, გაუქმებულია კადრების შერჩევა და განაწილება, ამაღლდა მუშაკთა იდეური დონე. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მუდმივ ზრუნვასა და მხარდაჭერას არ გვაკლებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ახალ სტიმულს გვანიჭებს, რათა დავძლიოთ ნეგატიური მოვლენები. „კანონიერების დარღვევის ყოველი შემთხვევა, ვინც უნდა დაუშვას იგი, პრინციპულად, მწვავედ უნდა შეფასდეს და მკაცრად დაიგმოს, ხოლო ამაში ბრალეული პირები მთელი სიმკაცრით დაისაჯონ“, — ნათქვამია დადგენილებაში. ამით ვხელმძღვანელობთ სწორედ ყოველდღიურ საქმიანობაში.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივი კვლავაც ყოველმხრივ იბრძოლებს ყოველი ანტისოციალისტური ბრძოლა ნინააღმდეგ, იქნება მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სფეროში. თავის მხრივ, მადლობას მოვახსენებთ საქართველოს სსრ პროკურატურას შინაგან საქმეთა ორგანოებში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ნაყოფიერი მუშაობის გამო.

ამავე დროს, ერთხელ კიდევ მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივს, თითოეულ მცხოვრებს გაგვიწოდონ შეძლებისდაგვარი დახმარება დამნაშავეობის დროულ პროფილაქტიკაში. ეს საჭიროება გამომდინარეობს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებიდან, რადგან უფლებები არ არსებობს მოვალეობის „გარეშე“. იმაში კი, თუ რა ეფექტიანია ასეთი კონტაქტები, გვარწმუნებს მრავალი მაგალითი, როცა სწორედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ცალკეული მოქალაქეების მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელი რიგი საშიში სამართალდარღვევების პროფილაქტიკასა და აღკვეთაში.

Შ. ᲒᲝᲠᲒᲝᲫᲔ,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ თანავარსკვლავედში, რომლითაც ამაყობს რუსული მუსიკალური ხელოვნება, საპატიო ადგილი განეკუთვნება მილი ალექსის ძე ბალაკირევს. გამოჩენილი კომპოზიტორის, პიანისტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ცხოვრების სიმართლით, ხალხურობით, პატრიოტიზმით. მისი დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც გაიმართა 24 დეკემბერს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

საღამოს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები.

სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ტ. ნ. ხრენიკოვმა, სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ მუსიკოსის სახელი რუსული კულტურის ისტორიაში აღიბეჭდა, როგორც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. მოწინავე დემოკრატიულმა აზროვნებამ, უფალა პროგრესული იდეისადმი ერთგულმა სიბეჯითემ ბალაკირევი 60-იანი წლების რუსული მუსიკალური ცხოვრების შემოქმედებითი მიმართულების სათავეში ჩააყენა. იგი იყო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი კომპოზიტორთა თანამეგობრობისა, რომელიც ისტორიაში შევიდა სახელით „ძლავრი ჯგუფი“.

მრავალფეროვანია კომპოზიტორის მუსიკალური მემკვიდრეობა, რომელშიც წარმოდგენილია საორკესტრო, საგუნდო, ვოკალური და საფორტეპიანო ნაწარმოებები. ზოგიერთი მათგანი შეტანილი იყო საიუბილეო საღამოს პროგრამაში.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲐᲣᲐᲘᲣ ᲚᲐᲨᲐ“ — ასე იტყვიან აფხაზები ნათელ, გასხივოსნებულ კაცზე, ყოველმხრივ კეთილშობილ ადამიანზე. ასეთი იყო სამსონ ჭანბაც, რომლის დაბადების 100 წლისთავს ფართოდ აღნიშნავს ამ დღეებში მთელი ჩვენი რესპუბლიკა.

სამსონ იაკობის ძე ჭანბა ახალი აფხაზეთის ისტორიის, მისი კულტურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი მოღვაწე, დიდი საქმეებისა და აზროვნებისათვის გაჩენილი კაცი, სულიერად ამაღლებული და მოკრძალებული — ყველას ყურადღებას იპყრობს, ვისაც კი აინტერესებს ბობოქარი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის ისტორიის განვითარების რთული გზა.

ხანმოკლე, მაგრამ ნათელი და დაძაბული ცხოვრებით იცხოვრა სოციალური სამართლიანობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა, ახალგაზრდა რესპუბლიკის ერთერთმა ხელმძღვანელმა, ახალი ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო (დ. ი. გულიას შემდეგ) წარმომადგენელმა.

როცა ამ გამოჩენილი კაცის, ასე ვთქვათ, გმირულ ბიოგრაფიას ფურცლავ, თვალწინ წარმოგიდგება ადამიანი, რომელმაც ადრე შეიცნო ხალხის ჭირ-ვარამი და თავისი ცხოვრება მოუღვნა მის განთავისუფლებას სოციალიური და ეროვნული ჩაგვრისაგან, მატერიალური და სულიერი სიღატაკისაგან. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩაება სოციალისტურ მოძრაობაში 1905-1907 წლების რევოლუციური ამბების გავლენით.

ბავშვობა ს. ჭანბამ ონიჩირის რაიონის სოფელ ათარის მშრომელი აფხაზი გლეხის ოჯახში გატარა, შემდეგ სწავლობდა დრანდის სამრევლო სკოლაში, სოხუმისა და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლებში, ხონის სამასწავლებლო სემინარიაში.

სიჭაბუკიდანვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში თვითმპყრობელობისა და მენშევიკების წინააღმდეგ, შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, შემდეგ ბოლშევიკების პოზიციებზე გადავიდა. ზეპირად და ბეჭდვით სიტყვით იგი პროპაგანდას უწევს ლენინის იდეებს, ე. ეშბასთან, ნ. ლაკობასთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

შრომითი ცხოვრება ს. ჭანბამ დაიწყო სოფლის სკოლებსა და სოხუმის სემინარიის მასწავლებლობით, შემდეგ პირველი აფხაზური საბჭოთა გაზეთის „აფსნი ყაფშის“ რედაქტორი, აფხაზეთის პირველი განათლების სახალხო კომისარი, ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი ორგანოს — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ხდება.

სამსონ ჭანბა წლების მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის (ბიუროს) წევრი, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოს წევრი და სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის სარედაქციო კომისიის წევრი.

ამრიგად, ს. ჭანბა — ხალხისა და იმ პარტიის ერთგული შვილი, რომლის რიგებშიც იყო 1921 წლიდან, წარმოგვიდგება, როგორც მგზნებარე რევოლუციონერი, ხალხის განმანთლელები, ბრწყინვალე ჟურნალისტი, ახალი სკოლის მშენებელი, რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციის აღიარებული ლიდერი და მხატვრული სიტყვის ჩინებული ოსტატი.

თავისი მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვა მან 1916 წელს დაიწყო.

სამსონ ჭანბასთვის, როგორც მწერალისთვის, უწინარეს ყოვლისა დამახასიათებელია ისტორიული და თანამედროვე აფხაზეთის სერიოზული და აქტუალური პრობლემების დასმა, ფიმატური მოვალეფეროვნება; მისთვის უცხო იყო ეგრეთ წოდებული წვრილთემიანობა თუ პირადული, კერძო ხასიათის „ამერული“ სნობობზმი. მას კარგად ესმოდა, რომ ლიტერატურა შექმნილია „არა მარტო ტკბილ ხმათათვის“, და ბრძოლის მძლავრი იარაღია, საერთო-სახალხო საქმის ნაწილია. მას მუდამ იზიდავდა მნიშვნელოვანი სოციალური და პატრიოტული მოტივები. მისი გმირების ცხოვრება მიმდინარეობ

ბაზრობის ფერებზე

ზამთრის დღესაც არ გაფერმკრთალებულა საახალწლო ბაზრობის ფერები თბილისის ხალხმრავალ მოედნებზე და ქუჩებში. აქ გაშლილი სავაჭრო რიგების დახლები სავსეა რესპუბლიკის ყველა რაიონიდან შემოტანილი მინდვრებისა და ბაღების ნობათით.

— ბაზრობის ორგანიზაციაში ჩაებნენ რესპუბლიკის სახაგრომრეწვი, ვაჭრობის სამინისტრო. ცეკავშირი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, — თქვა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ეჯიბაძემ. — ბაზრობის შტაბმა, რომელშიც შეკრებილნი ამ უწყებათა წარმომადგენლები, იზრუნა იმისათვის, რომ დედაქალაქს შეუფერხებლად მიეღო სოფლის მეურნეობის პროდუქცია. სადღესასწაულო დღეებში მყიდველთა მომსახურებაში პროფესიონალ გამყიდველთა გარდა ჩაბმული არიან აგრეთვე ტექნიკუმების სტუდენტები და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. ბაზრობა 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.

...გამოცოცხლებაა რიყის მოედანზე, სადაც საბაზრო ვაჭრობის ცენტრი მდებარეობს, არომატული ზამთრის ვაშლი, მანდარინი, ლიმონი, ხურმა, კომში, ყურძნის მტევნები იზიდავს მყიდველს. აქ ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი კულინარული ნაწარმი, ნახევარფაბრიკატები. არადა, რა ფასი აქვს საახალწლო სუფრას, თუ არ იქნება ჩურჩხელა და გოზინაყი, თაფლი და ჩირი, რესპუბლიკის კოოპერატორებმა ახლანდელი ბაზრობა ამ ნუგბარითაც გაამდიდრეს.

და დადიან თბილისელები რიგებს შორის, თანდათანობით ავსებენ კალათებს, ჩანთებს. ვაჭრობა გაჩაღდა იმპროვიზებულ დახლებთან — მანქანებთან, სადაც ყიდიან ფრინველს, ბოცვერს, ახალ თევზს.

— ყველა პროდუქტი ბაზრობაზე თითქოს შერჩეულია, — თქვა თბილისის №5 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლ. შგალობლიშვილმა, არავითარი პრეტენზია არა გვაქვს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მყიდველებისათვის, ფასები აქ გაცილებით ნაკლებია ბაზართან შედარებით.

მაგრამ რიყეზე მარტო სასურსათო პროდუქტების შეძენა როდი შეიძლება. ბევრს მოეწონა კაბები, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი. სხვათა შორის, ამ პროდუქციის რეალიზაციასთან ერთად საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკები იქვე იღებენ სასწრაფო შეკვეთებს იმ ფეხსაცმლის შესაკეთებლად, რომლის მოდელიც მოეწონა მყიდველს. გარდა ამისა, იღებენ განაცხადებს იმისათვის, რომ საახალწლო საჩუქრები გადასცენ მეგობრებსა და ნაცნობებს თოვლის პაპის მეშვეობით.

სანამ მოზრდილები საქონელს ათვალიერებენ, ბავშვები გარშემოერტყნენ თინა ლეკაშვილს, რომელიც პირდაპირ მყიდველის თვალწინ აცხობს ნამდვილ კახურ თონეში ყველასათვის საყვარელ შოთ პურებს.

— გურჯაანის რაიონის სოფელ კაჩრეთიდან ჩამოვედი, — თქვა თ. ლეკაშვილმა, — რთია თბილისელებმა ჩემი პური იგემონ. თუმცა თონეში ღილი წელი ვიმუშავე, მაინც ვღელავ. მოეწონებათ თუ არა ჩემი ნახელავი? ყოველნაირად ვცდილობ, წალამიც კი მოვიმარაგე. კახური პური ხომ მხოლოდ მაშინ არის გემრიელი როცა ცხვება წალამზე, და არა ჩვეულებრივ ხის ნაკვერცხლზე.

თინა აპირებს ერთ დღეში დაახლოებით ათასი პური გამოაცხოს, მაგრამ საზოგადოებრივი კვების მუშაკებმაც გადაწყვიტეს თავისებური რეკორდი დაამყარონ: ხუთი ათასამდე ხინკლის, მოხარშვა მოუწევთ მათ ყოველდღე. „ამათ მზარეულებს ხელოვნებით კარ-ყოფილი დარჩებიან ყაკაბაური ეროვნული სამზარეულოს ისეთი ტიპიური ნაკეთობანი, როგორიც არის მწვადი, ლულა-კებაბი, ლობიო და ა. შ.

... უკვე დიდი ხანია. ქალაქელამპიონებმა გაანთეს, რიყის მოედანზე კი მყიდველები არ კლებულობს. გვიან ღამემდე არ წყდება აქ მხიარული სადღესასწაულო ჟრიამული.

(საქინფორმი).

ჟურნალები

ოლიმპიატები

სეოლის. ბოლოს, ჩვეულებრივ, მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა საგენტოები აწყობენ ანგარიშებს საუკეთესო სპორტსმენებზე. მაგალითად, საბჭოეთის ინფორმაციის რედაქციის მიერ მოწყობილ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 5 კონტინენტის 40 ქვეყნის ორმოცდასამმა სატელეგრაფო სააგენტომ და სხვა საინფორმაციო ორგანიზაციებმა. ტრადიციისამებრ საბჭოეთის ანკეტით ადგენენ მსოფლიოს სამ საუკეთესო სპორტსმენს. მჯერად აღიარებულთა შორის ოთხნი არიან: ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის გმირი, არგენტინელი დიეგო მარადონა; სპორტსმენი, რომელმაც ჭოკით ხტომაში პირველმა დაძლია 6-მეტრიანი ზღვარი (601 სმ) — სერგი ბუბკა; მსოფლიო ჩემპიონი ჯადრაკში გარი კასპაროვი; სპრინტში, აგრეთვე სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი ჰაიკე დრეხსლერი (გდრ). გამოკითხვისას კასპაროვმა და დრეხსლერმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და სწორედ ამიტომ მჯერად საუკეთესოთა შორის სამის ნაცვლად ოთხი სპორტსმენია. შეეხიშნავთ იმასაც, რომ გამოკითხვისას მარადონას 29 პირველი ადგილი მიეკუთვნა.

ამერიკის შეერთებული შტატების სპორტულმა ჟურნალმა „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსმა“ მოაწყო რეფერენდუმი მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნის გამოსავლენად. გამოკითხვაში მონაწილეობდა 300 სპორტული ჟურნალისტი. მათგან 274-მა უპირატესობა მიანიჭა ოლიმპიადების ორგზის ჩემპიონს, მოსკოველ იური სედიხს. მან წელს ოსლოს ტყორცნაში ორჯერ გაუუჯობესა მსოფლიო რეკორდი. მისი მეორე რეკორდი, რომელიც სედიხმა შტუტგარტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დაამყარა, უდრის 86 მეტრსა და 74 სანტიმეტრს. მძლეოსანთა საუკეთესო ათეულში შევიდა კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი: დონეცკელი ჭოკით ხტომელი სერგი ბუბკა (მეოთხე ადგილი) და ფრუნველი სიმაღლეზე ხტომელი იგორ პაკლინი (მეათე).

სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ჟურნალ „ოლიმპიისკაია პანორამამ“ მეზუთედ მოაწყო 15 მოძმე რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა კონკურსი. გაგაცნობთ კონკურსის ლაურეატებს:

იური ზახარეევიჩი (რსფსრ, ძალოსნობა), სერგი ბუბკა (უკრაინა, მძლეოსნობა), იგორ ელეზოვსკი (ბელორუსია, ციგურებით სწრაფრბენა), არსენ ფაძაევი (უზბეკეთი, თავისუფალი ჭიდაობა), ანატოლი ხრაპატი (ყაზახეთი, ძალოსნობა), მაია ჩიბურდანიძე (საქართველო, ჭადრაკი), გარი კასპაროვი (აზერბაიჯანი, ჭადრაკი) არვიდას საბონისი (ლიტვა, კალათბურთი), სვეტლანა გუსკოვა (მოლდავეთი, მძლეოსნობა), რაიმონდს ვალდე (ლატვია, ფრენბურთი), იგორ პაკლინი (ყირგიზეთი, მძლეოსნობა), ზებინისო რუსტამოვი (ტაჯიკეთი, მშვილდოსნობა), რობერტ ემიანი (სომხეთი, მძლეოსნობა), ვლადიმერ სულთანოვი (თურქმენეთი, ველოსპორტი), კაიი პარვე (ესტონეთი, ბიათლონი).

კალათბურთის ფართან

თბილისის სპორტის სასახლე, რომელიც ამ დღეებში ვაჟთა გუნდების საყავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურს მასპინძლობს, ერთთავად სავსეა კალათბურთის ქომაგებით. ეს დიდი ინტერესი იმან განაპირობა, რომ ამ ბოლო ხანს თბილისის „დინამომ“ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში და იმანაც, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილე დანარჩენ გუნდებიც საკმაოდ მაღალი კლასით გამოირჩევიან. ასპარეზობის მეორე დღეს თბილისელებმა თავის ტრადიციულად ძნელ მეტოქეს — მინსკის რტის ერთობ დაძაბულ ბრძოლაში 2-ქულიანი სხვაობით აჯობეს (88:86). ეს იყო მართლაც საინტერესო მატჩი, შეხვედრის ბოლო წამებამდე შეუუბვარი ბრძოლა არ დამცხრალა. გარკვეულ საკუთრებით ისახელა თავი დარსადეს.

მოსკოვის „დინამოს“ და კიევის „სტროიტელის“ შეხვედრა უცნაური კალაპოტით წარიმართა. მეორე ტაიმში მოსკოველები 16 ქულით იყვნენ დაწინაურებული, მაგრამ ძნელად აღსაქმელი მეტამორფოზა მოხდა: მათ მოპოვებული უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაუქრათ და 15 ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

ამ ტურის მეორე დღის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: **რიგა.** ვილნიუსის „სტატბა“-ლენინგრადის „სპარტაკი“ — 65:71, **რიგის** ვეფი — კიევის ასკ — 102:99, **დონეცკი.** კაუნასის „ჟალგირისი“-ცსკა — 91:90, დონეცკის „შახტიორი“-ალმა-ათის ასკ — 101:79.

გუშინდელი ტურის წინ ცსკას 31 ქულა ჰქონდა, „ჟალგირისს“ — 28, კიევის არმიელთა გუნდს, თბილისის „დინამოს“ და „შახტიორს“ — 27:27, ვეფს და „სპარტაკს“ — 26-26, „სტროიტელს“ — 24, მოსკოვის „დინამოს“ და „სტატბას“ — 23-23, რტის და ალმაათელ არმიელებს — 22-22 ქულა.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამინისტროს წამყვანი ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ვახტანგ სიმონის ძე შავდია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

25 დეკემბერი ● საკვირველი იუწყება

ალბომი

ფაქტები • მოვლენები

ირმა სოხაძის თეატრის პრემიერები

წლის დამლევისათვის პიონერულ ქალაქ „მზიურთან“ არსებული ბავშვთა მუსიკალური თეატრის ნორჩ სოლისტებს განსაკუთრებით ბევრი საზრუნავი აქვთ. თეატრის ფუძემდებლის, საქართველოს კომკავშირის პრემიის laureატის ირმა სოხაძის ხელმძღვანელობით ისინი სწავლობენ ვოკალურ პარტიებს, აზუსტებენ მიზანსცენებს, იზომებენ კოსტიუმებს...

თეატრი ეპატიჟება თბილისელებსა და საქართველოს დედაქალაქის სტუმრებს საბავშვო მიუზიკლის „ნაძვნარა ტყის ზღაპრის“ პრემიერაზე. ლობრეტო დაწერა საქართველოს კომკავშირის პრემიის laureატმა პოეტმა გივი ჭიჭინაძემ, ხოლო მუსიკა — კოლექტივის საბჭოგრო ხელმძღვანელმა ირმა სოხაძემ. თავის თქვენმტ აღსაზრდელთან ერთად იგი გამოვა სპექტაკლში. მასთან ერთად მიუზიკლში მონაწილეობენ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სტაჟიორი, ამიერკავკასიის მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსის laureატი სანდრო თომაძე, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი ლევან ლორთქიფანიძე და სხვები.

პრემიერა გაიმართება 29 დეკემბერს კიროვის რაიონის პიონერთა სახლში გორგასლის ქუჩაზე. მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში — 3, 5, 7 და 9 იანვარს სამ საათზე ბავშვებს შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ თეატრის ახალ ნამუშევარს: 6 იანვარს მიუზიკლს წარმოადგენენ ღია ცის ქვეშ ქალაქ „მზიურში“.

მომავალი 1986 წელი ბავშვთა მუსიკალური თეატრის დაბადების წელია.

საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის ხმის ჩამწერმა სახლმა უკვე გამოუშვა დისკო-გიგანტი, რომელზეც ჩაწერილია მიუზიკლი „ქალაქი-ზღაპარი“ ბავშვთა თეატრის სოლისტების შესრულებით. სწორედ ამ ნაწარმოებით, რომელიც ყმაწვილთათვის სპეციალურად დაწერა ირმა სოხაძემ, აღნიშნა თავისი დაბადება ბავშვთა მუსიკალურმა თეატრმა. ახლა იწერენ მეორე ფირფიტას მიუზიკლით „კვლავ ქალაქი-ზღაპარი“, რომელიც რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის ლიბრეტოს მიხედვით არის შექმნილი.

კონკურსში გამარჯვებულნი

1986 წლის მე-9 ნომერში ჟურნალმა „პარტიულმა სიტყვამ“ გამოაცხადა კონკურსი დეკემბრის: „ბედს გამრჯელი მოეწევა“ („იდეოლოგიურად უზრუნველყოფთ მეთორმეტე ხუთწლედის საქმეებს“).

სარედაქციო ჟიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები. პირველი და მეორე პრემია არავის არ მიკუთვნებია. მესამე პრემიით (ასი მანეთი) აღინიშნა ჟურნალისტების — ოთარ ხუციშვილის ნარკვევი — „სიტყვა მადლიანი“, რობერტ მეგრელიშვილის — „გარდაქმნის გზით“, შალვა გულუა — „განახლების ახალი ტალღა“ და ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის შოთა ვეშაპაძის სტატია — „იგი მეგუფვის კაცადა“. (საკინფორმი).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ულენინური თეორიის პროპაგანდის — 99-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 99-20-34, საბჭოთა მეცნიერების — 99-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 99-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 99-22-93, აღგილობრივი ინფორმაციის — 99-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზობელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 99-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 99-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

ქობულეთი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-99; წითელწყარო — 28-84; ტყიბული — 25-82.

საქართველოდან აღიარებული ფაქტორი

კონფერენცია ინდოეთში საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტის შედეგების გამო

დელი. ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგებს მაღალი შეფასება მისცეს ინდოეთის მოსმახობლობის მოძრაობის შემსწავლელი ინსტიტუტის ინიციატივით აქ მოწყობილი კონფერენციის მონაწილეებმა. თვალსაჩინო პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, საგარეო პოლიტიკის საკითხთა ექსპერტებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვიზიტის მნიშვნელობა შორსცილდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს და უდიდეს ზემოქმედებას მოახდენს საერთაშორისო ურთიერთობის მთელ კომპლექსზე.

უნიკალური დოკუმენტი უწოდა დელის დეკლარაციას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა კ. ნატვარ სინგჰმა. დეკლარაციამ კვლავ დამაჯერებლად ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი ღრმად და გულწრფელად ერთგულობს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას შეგნებული აქვს ბირთვული კატასტროფის საფრთხის აღმოფხვრის აუცილებლობა, ხაზგასმით აღნიშნა მან. „საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა დღეს საერთაშორისო ცხოვრების საყოველთაოდ აღიარებული ფაქტორია — თქვა სახელმწიფო მინისტრმა. — ჩვენი ურთიერთობა ეფუძნება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე შეხედულებათა მსგავსებას,. მთელი კაცობრიობის მშვიდობიან მომავლის უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტისადმი საერთო მიდგომას“.

„დელის დეკლარაცია ახალი გაბედული ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებას“, — განაცხადა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის სრულიად ინდოეთის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბჰაგვატ ჯჰა აზადმა. მან განაცხადა: ამ დოკუმენტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები აძლიერებენ გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას. ბ. ჯ. აზადმა ხაზგასმით აღნიშნა: „მ. ს. გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებულ „ვარსკვლავეთის მშვიდობის“ კონცეფციაში მკაფიოდ გამოვლინდა სსრ კავშირის მისწრაფება, თავიდან აცილოს კაცობრიობის ბირთვული კატასტროფის საფრთხე“.

ინდოეთის ეროვნული კონგრესი (ი) პარტიის სრულიად ინდოეთის კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგემ რომეშ ბჰანდარიმ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხელმოწერილი დოკუმენტები შეესაბამება სსრ კავშირისა და ინდოეთის ეროვნულ ინტერესებს, დღევანდელობის მთავარი ამოცანის — ბირთვული საფრთხის ლიკვიდაციის ამოცანის გადაწყვეტის საქმეს. ისინი იძენენ განსაკუთრებულ აზრს, იმიტომ რომ მას ხელი მოაწერეს ქვეყნებმა, რომლებიც მიუმხრობლობის მოძრაობისა და სოციალისტური თანამეგობრობის წარმომადგენლები არიან. რ. ბჰანდარიმ მკაცრად გააკრიტიკა რეიგანის ადმინისტრაციის გეგმები. რომელთა მიზანია კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია. „ვარსკვლავეთის ომების გეგმა“ შეიძლება მხოლოდ სრულ უგუნურებად მივიჩნიოთ“, — განაცხადა მან.

ფოტოინფორმაცია

ინდოეთი

ოცდაათზე მეტი სახელმწიფოს 200-მდე ფირმა და გაერთიანებაა წარმოდგენილი ინდოეთის დედაქალაქში მოწყობილ ტრადიციულ საერთაშორისო საჯარო ბაზრობა — 86-ზე. თავიანთ პროდუქციას უჩვენებენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ლამაზად გაფორმებულ პავილიონებში წარმოდგენილია ინდოეთის 23 შტატისა და სამოკავშირეო ტერიტორიის, აგრეთვე წამყვანი სამინისტროების, უდიდესი სახელმწიფო კომპანიების ექსპოზიცია. იგი თვალნათლივ მოწმობს რესპუბლიკის წარმატებებს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში.

სსრ კავშირის პავილიონს სამართლიანად უჭირავს ერთი ცენტრალური ადგილი ბაზრობაზე. მისი დამთვალიერებლები ეცნობიან 200 საბჭოთა სამრეწველო საწარმოს პროდუქციას. საუცხოოდ გაფორმებული სტენდები მნახველებს აცნობენ სსრ კავშირისა და ინდოეთის შორის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების 30-იან ისტორიას, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობას.

• • •

სურათებზე: ბაზრობის ტერიტორიაზე; საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პავილიონში.

საკვლისის ფოტო.

„ვარსკვლავეთის ომების“ წინააღმდეგ ოლაშქრებენ

ამერიკელი მეცნიერები

ნიუ-იორკი. სულ უფრო მეტი ამერიკელი მეცნიერი უარყოფს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ წამოყენებულ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას, რომელიც მსოფლიოში ვითარების დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის. როგორც გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ცენტრის დაახლოებით 6.700-მა ფიზიკოსმა ბოლო ორ წელიწადში ხელი მოაწერა პეტიციას, რომელშიც მოითხოვენ უარი თქვან კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის გეგმებზე. პეტიციის ავტორები არიან ცნობილი ამერიკელი მეცნიერები ჯონ კოგატი, დენიელ უაისმენი და მაიკლ უორტისი. პეტიციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პრეზიდენტ რეიგანის მიერ წამოყენებული ყბადაღებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“ მცდარი და სახიფათოა.

დასავლეთგერმანელი მშვიდობის მომხრეები

ბონი. დასავლეთ გერმანიის ქვემო საქსონიის მხარის ოთხი ათასზე მეტმა მოქალაქემ მოაწერა ხელი საპროტესტო განცხადებას „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობის წინააღმდეგ. განცხადება გამოაქვეყნა სამოქალაქო ინიციატივამ „ჰანოსმა-84“.

ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ილაშქრებს გამალებული შეიარაღების დაჩქარების კურსის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ბირთვული იარაღის აკრძალვას. „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“, ნათქვამია დოკუმენტში, დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის პროექტია. დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარების ინტერესები მოითხოვს, რომ მთელი ძალით წინააღეუდგეთ „ვარსკვლავეთის ომების“ ავბედითი პროგრამების განხორციელებას, მით უმეტეს, რომ იგი მთავარი დაბრკოლებაა განიარაღების სფეროში პროგრესის მიღწევის გზაზე, ხაზგასმით არის აღნიშნული განცხადებაში.

◆ ავღანეთი

ბრუნდებიან სამშობლოში

ქაბული. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კურსი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ შერიგებას, ქვეყანაში მშვიდობისა და უშიშროების აღდგენას, მხურვალე გამოხმაურებას პოულობს იმ ავღანელთა გულში, რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო საზღვარგარეთ აღმოჩნდნენ. მტრული ანტიავღანური პროპაგანდით მოტყუებული ბევრი ოჯახი სამშობლოში ბრუნდება, რათა შეუდგეს ხალხის საკეთილდღეო მშვიდობიან შრომას. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, ამ დღეებში კიდევ 420 ავღანელი დაბრუნდა პაკისტანიდან ლაგმანის პროვინციაში. ბევრი მათგანი აცნობებს, რომ პაკისტანის ხელისუფალნი ყოველნაირად უშლიან ხელს ავღანელთა დაბრუნებას სამშობლოში.

● პარაგვაი

დიქტატორი აიძულეს

გუეენოს-აირესი. მასობრივმა საპროტესტო შიმშილობამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც სჩადის პარაგვაიში სტრესნერის ანტახალხური რეჟიმი, დიქტატორი აიძულა საპატიმროებილს დელეგებიდან გაეთავისუფლებინა ქვეყნის ოპოზიციური ძალების სამი აქტივისტი. მათ შორის დედაქალაქის ცენტრალური საავადმყოფოს თანამშრომლები კარლოს ფილისოლა და ელსა მერელესი.

ასამდე ექიმი და სტუდენტი ერთი კვირის განმავლობაში უარს ამბობდა საქმეზე და მოითხოვდა თავიანთი სამი ხელმძღვანელის განთავისუფლებას, რომლებიც დიქტატურის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციებში მონაწილეობდნენ.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **დელი.** ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში სსრ კავშირისა და ინდოეთის ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ახალ შესაძლებლობებს სახავს დოკუმენტები, რომლებსაც ინდოეთის დედაქალაქში ხელი მოაწერეს ორი მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებმა.

◆ **ფხენიანი.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს აგრესიული სამზადისი, რომლის მიზანია დაძაბულობის გაფრქვევება კორეაში, და გაიყვანოს თავისი ჯარები კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილიდან, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების კომიტეტის სამდივნოს ცნობაში. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკის შეიარაღებული ძალების ზრდაზე.

◆ **ლონდონი.** „გაათავისუფლეთ მაიკლ ჰაიქსი!“ — ასეთ მოთხოვნას შეიცავს პეტიცია, რომელზეც ხელმოწერა დაიწყო მბეჭდავთა და მომიჯნავე პროფესიის მუშაკთა პროფკავშირის ლონდონის განყოფილებამ. ეს პროფკავშირული აქტივისტი ბრიტანეთის ხელისუფლებამ დააპატიმრეს შეთითხნილი ბრალდებით. პეტიციას გადასცემენ დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრს დუგლას ჰერდს.

ვლანეტის „ცხელი ფერტილები“

◆ ირან-ერაყი

კონფლიქტის ესკალაცია

ბაღდადი. მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეს თანახმად, 23 დეკემბერს ერაყის ავიაციამ 210, ხოლო უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში სულ 577 საბრძოლო გაფრენა განახორციელა. თვითმფრინავები თავს დაეხსნენ მოწინააღმდეგის ჯარების თავმოყრის ადგილებსა და სამხედრო ბანაკებს შუშის, სუმარისა და ქალაქ ქერმანშაჰის (ბახთარანის) მიდამოებში. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ერაყელებმა ჰაერიდან დაბომბეს ცემენტის ქარხანა ქერმანშაჰში, სამხედრო საწყობი შაჰაბადში (ისლამაბადე-ღარბში) და ნავთობგადასატუმბი სადგური „იმამ ჰასანის“ საბადოში. ირანის სანაპაროსთან ერაყის ავიაციამ დააზიანა ტანკერი და ორი „საზღვაო სამიზნე“.

12 კაცი დაიღუპა და 100 დაიჭრა ქალაქებზე სულეიმანიასა და ჰანაკინზე ირანის თვითმფრინავების თავდასხმის შედეგად. ირანის შორსმსროლელმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ერაყის მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს, ნათქვამია კომუნიკეში.

ნიკოზია. ირანის ავიაციამ ირანის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, დაბომბა ეკონომიკური და სამხედრო ობიექტები ერაყის ქალაქებში ალი-ელ-ღარბსა და ელ-მიქდადიაში. განვლილი დღე-ღამის მანძილზე არტილერია ისევ უშენდა ცეცხლს მოწინააღმდეგის ჯარების თავმოყრის რაიონებს ფრონტის ხაზის გასწვრივ და ერაყის ტერიტორიის სიღრმეში. არტილერიის ცეცხლი და რაკეტები დაუშინეს ბასრას. აბდალაჰის სრუტეზე ირანის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ერაყის სამი სამხედრო ხომალდი ჩაძირეს.

ისლამაბადე-ღარბსა და ბახთარანზე თავდასხმების შედეგად, საგენტოს ცნობით, 72 კაცი დაიღუპა და 200-ზე მეტი დაიჭრა.

◆ ახლო აღმოსავლეთი

ცეცხლი დაუშინეს ქიმიასის შემოგარენს

ბეირუთი. ზიმრაიას მაღლობზე, ეგრეთ წოდებული „უშიშროების ზონის“ ფარგლებში განლაგებულმა ისრაელის ტანკებმა ფოსფორის ჭურვები დაუშინეს დასახლებული პუნქტის მიმასის შემოგარენს. გაჩნდა ხანძრები. საგრძნობლად დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო საგარგულები. ბექაას ველის სამხრეთ ნაწილში, აგრეთვე სოფლების შუაიასა და ჰასბანის მიდამოები დამპყრობლებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით „გაცხრილეს“.

ქვეყნის სამხრეთიდან მოღებული ცნობებით, ლიბანის წინააღმდეგობის პატრიოტული ფრონტის მებრძოლებმა რაკეტები დაუშინეს აგრესორის გამაგრებულ პოზიციებს იათერის დასახლებული პუნქტის რაიონში და აჰმადიეს ბორცვებზე. პარტიზანების წარმატებული მოქმედების შედეგად ისრაელის საოკუპაციო ჯარები ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალს განიცდიან.

განვლილი დღე-ღამის მანძილზე ისრაელის მზვერავმა თვითმფრინავებმა რამდენიმეჯერ გადაუფრინეს პროვოკაციულად ლიბანის ტერიტორიას. აგრესორის თვითმფრინავებმა არაერთხელ გადაუარბეს ბეირუთისა და საიდის თავზე.

კვლავინდებურად დაძაბული ვითარებაა პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკების რაიონებში.

◆ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

რასისტთა სადამსჯელო ღონისძიებები

ლონდონი. ოჰანესბურგიდან მიღებული ცნობების თანახმად, მოკლულია კიდევ რვა და დაჭრილია 19 მუშახტე ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარი იმ შეტაკებების შედეგად, რომლებიც პროვოკაციულად გამოიწვია გასულ დღეღამეში ორაყის პროვინციის პრეზიდენტ სტეინის სახელობის ოქროს საბადოს ადმინისტრაციამ. გასულ კვირას აქ დაიღუპა 20 და დაიჭრა 70-ზე მეტი მადალოელი.

ხელისუფლებამ დასჯითი ღონისძიებები განახორციელეს გაზეთების „უიკლი მეილის“, „სოუტანის“ და „სიტი პრესის“ მიმართ, რომლებსაც აფრიკელები გამოსცემენ. მათ აუკრძალეს აფრიკის დაბებში ჯარისა და პოლიციის მოქმედების შესახებ ობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნება.

ახალი წლის წინა დღეებში სამხრეთ აფრიკაში გაძლიერდა საგანგებო წესების გაუქმებისათვის მშვიდობიანი გამოსვლების მონაწილეთა რბევა. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში თეთრკანიან ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციის „შავი მარიგების“ აქტივისტი შინა დანკენი.

პ. ბოტას მთავრობის მისწრაფებას, რადაც უნდა დაუჯდეს გაუსწორდეს ოპოზიციას, შეიძლება მხოლოდ სისხლისღვრის გაძლიერება მოჰყვეს, ხაზგასმით აღნიშნა დანკენმა.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

26 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მხატვრული ფილმი „ნატვრის ხანა“. 11